

საქართველოს საპენსიო სააგენტოს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საპენსიო ფონდში აკუმულირებული სახსრების მთლიანი ოდენობა (ბანკებში არსებული ნომინალური მფლობელობის ანგარიშებზე განთავსებული საპენსიო შენატანებისა და ხაზინაში აკუმულირებული სახსრების ჯამური ოდენობა);
- საბანკო დეპოზიტებზე განთავსებული დანაზოგების ოდენობა, შესაბამისი ბანკების და განთავსების პირობების (სარგებელი, ვადიანობა) მითითებით;
- საბანკო დეპოზიტებზე დანაზოგების განთავსების გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი პირის/პირების თანამდებობა და ვინაობა ან სტრუქტურული ერთეულის დასახელება ხელმძღვანელი პირის მითითებით.
- საკანონმდებლო აქტი (შესაბამისი მუხლის/პუნქტის მითითებით), რომელიც ანიჭებს გადაწყვეტილების მიმღებ პირს/სტრუქტურულ ერთეულს, სახსრების განთავსებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას;
- სახსრების განთავსებაზე გადაწყვეტილების მიღების, სადეპოზიტო ორგანიზაციისა და ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურის ამსახველი პოლიტიკის დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში ან პრინციპები რომელსაც ეყრდნობა უფლებამოსილი პირი გადაწყვეტილების მიღებისას;
- გადაწყვეტილების მიმღები პირის პასუხისმგებლობის ფარგლები და წახალისების ფორმა/პრინციპები სახსრების განთავსების შედეგებიდან გამომდინარე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ასევე, გთხოვთ, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ მიმსამართზე: Vakho.demuria@gmail.com

პატივისცემით,

დავით ქუტიძე

FactCheck.ge-ს რედაქტორი

მისამართი:

თბილისი, კოსტავას ქ. № 75გ





GRASS

FACTCHECK

საკონტაქტო პირი:

ვახტანგი დემურია

მობ: 577 201 070

e-mail: Vakho.demuria@gmail.com